ელექტრონული მმართველობის სტრუქტურები - ბელგიისა და ნიდერლანდების გამოცდილება

ბელგია

ბელგიას აქვს ელექტრონული მმართველობის სამთავრობო სტრატეგია[1]. ელ. მმართველობის პოლიტიკა ქვეყანაში წარიმართება შიდა-სამთავრობო კოორდინაციით (ასევე, მთავრობათაშორისი კოორდინაციით ფედერალურ ერთეულებთან)[2].

ფედერალურ დონეზე ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის იმპლემენტაციასა და კოორდინაციას უზრუნველყოფს საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების ფედერალური სამსახური - ფედიქტი (Fedict)[3]. ფედიქტი სამთავრობო უწყებაა, რომელიც ფედერალური მთავრობის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია; ხოლო ფედიქტის თავმჯდომარე ითვლება ელექტრონული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელად[4]. ფედიქტის საქმიანობა ექცევა საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო სერვისების სახელმწიფო მდივნის კომპეტენციის ქვეშ, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება ფინანსებისა და მდგრადი განვითარების მინისტრს[5]. არსებობს სპეციალური კანონი ფედიქტის შესახებ[6].

ფედიქტი აყალიბებს სტანდარტებს, ქმნის და იმპლემენტაციას უკეთებს პროექტებს (მაგალითად, ფედიქტის შექმნილია ელექტრონული პირადობის მოწმობების პროგრამული უზრუნველყოფა)[7]. ფედიქტი თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან. ფედიქტი მონაწილეობს როგორც სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე, იმპლემენტაციასა და კოორდინაციაში[8].

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული მმართველობა ბელგიაში ამ დროისთვის არაა სრულად ცენტრალიზებული და ცალკეულ ფედერალურ სამინისტროებს მაინც აქვთ

---

[1] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ბელგიაში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentBelgium.pdf ;
საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების ფედერალური სამსახურის ვებ-გვერდი: http://www.fedict.belgium.be/en/over_fedict/Mission_and_aims/

[2] ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ელექტრონული მმართველობა ბელგიაში, 2008: http://www.oecd.org/gov/publicsectorinnovationande-government/42350611.pdf

[3] ფედიქტ-ის ვებ-გვერდი: http://www.fedict.belgium.be/en/over_fedict/

[4] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ბელგიაში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentBelgium.pdf

[5] ფედიქტ-ის ვებ-გვერდი: http://fedict.dfib.net/fedivers/2012/02/FR/secretaire.html;
ბელგიის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.premier.be/en/members-government

[6] ფედიქტ-ის ვებ-გვერდი: http://www.fedict.belgium.be/en/over_fedict/newsitems/nieuwsbericht_detail/parlement.jsp?referer=tcm:464-185461-64

[7] ფედიქტ-ის ვებ-გვერდი: http://www.fedict.belgium.be/en/over_fedict/Mission_and_aims/ ; http://www.fedict.belgium.be/en/over_fedict/

[8] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ბელგიაში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentBelgium.pdf

ელექტრონული მმართველობის დამოუკიდებელი მენეჯმენტი, თავიანთი სტრატეგიები და ბიუჯეტები. ფედიქტი გარკვეულწილად აღიქმება სახელმწიფო „ბექ-ოფისად“[9].

ნიდერლანდები

ნიდერლანდებს აქვს ელექტრონული მმართველობის სამთავრობო სტრატეგია, რომელიც წარედგინება პარლამენტსაც. თითოეული სახელმწიფო უწყება ვალდებულია, შეასრულოს ეს სტრატეგია[10].

ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე, სტრატეგიაზე, კოორდინაციასა და იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელია შიდა და სამეფო ურთიერთობათა სამინისტრო [11]. (ეს არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალოგიური უწყება, ესაა სამინისტრო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საჯარო სამსახურის განვითარება)[12]. აღნიშნულ სამინისტროსვე აკისრია ელ.მმართველობის სახელმწიფო პოლიტიკაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა (აღსანიშნავია, რომ ელ. სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის არის ეკონომიკურ საქმეთა, სოფლის მეურნეობისა და ინოვაციის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ)[13].

შიდა ურთიერთობების სამინისტროსთან შექმნილია სერვისებისა და ელექტრონული მმართველობის დირექტორთა საბჭო, რომელიც მონაწილეობას იღებს საერთო სტრატეგიების შემუშავებასა და იმპლემენტაციაში სხვადასხვა დონეზე[14]. საბჭოს წევრები არიან უფროსი კატეგორიის საჯარო მოხელეები ყველა შესაბამისი უწყებიდან და რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის პოლიტიკური წარმომადგენლები. საბჭოს ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მონიტორინგს უკეთებს გადაწყვეტილებების მიღებასა და შესრულებას და თვალყურს ადევნებს, რომ გადაწყვეტილებები სწორ ინსტიტუციურ დონეზე მიიღებოდეს[15].

ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის იმპლემენტაციასა და ტექნოლოგიურ მხარდაჭერაში შიდა ურთიერთობების სამინისტროს ეხმარება მისივე დაარსებული 2 უწყება: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების სამთავრობო სამმართველო

---

[9] ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ელექტრონული მმართველობა ბელგიაში, 2008: http://www.oecd.org/gov/publicsectorinnovationande-government/42350611.pdf

[10] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ნიდერლანდებში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentTheNetherlands.pdf

[11] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ნიდერლანდებში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentTheNetherlands.pdf

[12] სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.government.nl/ministries/bzk

[13] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ნიდერლანდებში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentTheNetherlands.pdf

[14] ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ნიდერლანდებში, 2011: http://www.epractice.eu/files/eGovernmentTheNetherlands.pdf

[15] ევროპის კომისია, „საჯარო მომსახურების ელექტრონიზაცია ევროპაში: ამბიციების მოქმედებაში მოყვანა“, თავი ნიდერლანდების შესახებ, 2010: http://ec.europa.eu/information_society/newsroom/cf/document.cfm?action=display&doc_id=747

(ICTU) და საერთო-სამთავრობო საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების სამსახური - ლოგიუსი (Logius)[16].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაეროს ელექტრონული მმართველობის 2012 წლის კვლევის თანახმად, ნიდერლანდები შესაბამის მსოფლიო რეიტინგში მე-2 ადგილზეა[17].

[16]ICTU-ს ვებ-გვერდი: https://www.ictu.nl/english/ ;
ლოგიუსის ვებ-გვერდი: http://www.logius.nl/english/;
ევროპის კომისია, ელექტრონული მმართველობა ნიდერლანდებში, 2011:
http://www.epractice.eu/files/eGovernmentTheNetherlands.pdf
[17] გაერო, ელექტრონული მმართველობის კვლევა მსოფლიოში, 2012:
http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un/unpan048065.pdf